3/73-12
13.01.11

შპს „სილქნეტს“

გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის ღ) ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე–41 მუხლის შესაბამისად ვახორციელებთ ინტერნეტის მომსახურების ალტერნატიულ შესყიდვას.

გელა ბუკია
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

13.01.11

3/72-02
13.01.11

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ სამინიტროში მიმდინარეობს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან შიდა დაცული ქსელის (VPN) ინსტალაცია და ახალი შიდა უწყებრივი სატელეფონო სისტემის დანერგვა, რისთვისაც აუცილებელია სამინისტროს გააჩნდეს სტაბილური და უწყვეტი კავშირი საელჩოებთან. ამისათვის აუცილებელია სამინისტროში შემოყვანილ იქნას დამატებითი სარეზერვო ინტერნეტ ხაზი რათა სამინისტროს გააჩნდეს ორი დამოუკიდებელი ინტერნეტ კავშირი საზღვარგარეთ საქართელოს დიპლომატიურ მისიებთან, რათა ერთი ინტერნეტ ხაზის გათიშვის ან დაზიანების შემთხვევაში არ მოხდეს დაცული შიდა ქსელის და ტელეფონიის სისტემის წყვეტა.

აგრეთვე დამატებითი (სარეზერვო) ხაზის შემოყვანა განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საქართველოს დიპლომატიური მისია სარგებლობს ადგილობრივი ინტერნეტ პროვაიდერის მომსახურეებით, რომლის კავშირიც საქართველოს ინტერნეტ რესურსებთან არის სხვადასხვა – ლოკალურ პროვაიდერსა და ქართულ ინტერნეტ პროვაიდერებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შესაბამისად მეორე ინტერნეტ ხაზის არსებობის შემთხვევაში სამინისტროს შეძლებს კავშირის ოპტიმალური ხარისხის დამყარებას ყველა საელჩოსთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის ღ) ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე–41 მუხლის შესაბამისად ვახორციელებთ ინტერნეტის მომსახურების ალტერნატიულ შესყიდვას.

პატივისცემით,

გელა ბუკია
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

ჩავარდა: ე. ...
13.01.11